

**სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსთან არსებული საკონსულტაციო ორგანოს –
„ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს“ დებულება**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო (შემდგომში - საბჭო) სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსთან (შემდგომში - სააგენტო) არსებული საკონსულტაციო ორგანოა.
2. საბჭო თავის საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით და ამ დებულებით.
3. საბჭოს სტატუსი, სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით.

მუხლი 2. საბჭოს მიზანი და ფუნქციები

1. საბჭოს მიზანია ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ხელშეწყობა.
2. დასახული მიზნის განსახორციელებლად საბჭოს ფუნქციებია:
 - ა) ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე სააგენტოსათვის რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება;
 - ბ) საბჭოს ფარგლებში შექმნილი თემატური სამუშაო ჯგუფების საქმიანობის შინაარსის განსაზღვრა და მათი კოორდინაცია;
 - გ) ახალგაზრდობის სფეროში მოქმედ საინიციატივო ჯგუფებთან, სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
 - დ) ახალგაზრდობის სფეროში მოქმედ საინიციატივო ჯგუფებს/ორგანიზაციებსა და სააგენტოს შორის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა;
 - ე) ახალგაზრდული პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებების, სააგენტოს პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და ბიუჯეტის შესახებ სააგენტოსათვის საკუთარი მოსაზრებების, რეკომენდაციებისა და წინადადებების წარდგენა;
 - ვ) ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდული საქმიანობის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების დონის ამაღლების ხელშეწყობა.

მუხლი 3. საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭო, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრთან (შემდგომ - მინისტრი) შეთანხმებით, იქმნება სააგენტოს ხელმძღვანელის ბრძანებით.
2. საბჭო შედგება 22 წევრისგან, რომლებიც კონკურსის წესით შეირჩევიან 1 წლის ვადით. საბჭოს 11 წევრი ქალია, 11 მამაკაცი.
3. საბჭოს წევრი უნდა იყოს 14-29 წლის. საბჭოს შემადგენლობაში აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილნი ახალგაზრდები ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ასევე, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები. ამასთან, საბჭოს შემადგენლობაში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფი თანაბრად უნდა იყოს წარმოდგენილი.
4. საბჭოს წევრების შესარჩევ კონკურსში კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს საქართველოს ნებისმიერ რეგიონში, ოკუპირებული ტერიტორიების ჩათვლით, მოქმედ ნებისმიერი სამართლებრივი სტატუსის მქონე ახალგაზრდულ ან/და ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციას, მათ შორის მხოლოდ იმ სამეწარმეო სუბიექტებს, რომელთა საქმიანობის სფერო განეკუთვნება საგანმანათლებლო საქმიანობას.

5. ერთ ახალგაზრდულ/ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციას უფლება აქვს, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოადგინოს არაუმეტეს 1 (ერთი) კანდიდატი.
6. ღია კონკურსის წესით საბჭოს წევრების შერჩევაზე პასუხისმგებელია 5 წევრისაგან შემდგარი საკონკურსო კომისია. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა, მისი საქმიანობის წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მტკიცდება მინისტრთან შეთანხმების საფუძველზე გამოცემული სააგენტოს ხელმძღვანელის ბრძანებით.
7. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა (შემდგომ - სამინისტრო) და სააგენტოს თითო წარმომადგენელი და მოწვეული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მუხლი 4. დამკვირვებლები

საქართველოში მომუშავე საერთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, სააგენტოს მოწვევით, უფლება აქვთ წარადგინონ წარმომადგენლები საბჭოს შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად და მოსაზრებების წარსადგენად, ხმის უფლების გარეშე.

მუხლი 5. საბჭოს საქმიანობის წესი

1. საბჭო საქმიანობას ახორციელებს სხდომების მეშვეობით. მას აქვს უფლება, შექმნას თემატური სამუშაო ჯგუფები. საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა ორი მესამედი.
2. საბჭოზე განსახილველად საკითხის წარდგენის უფლება აქვთ საბჭოს წევრებს, ასევე მინისტრის შესაბამის კურატორ მოადგილეს, სააგენტოს ხელმძღვანელსა და სამინისტროს მასობრივი სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტს.
3. საბჭოზე განსახილველად საკითხის წარდგენა ხდება საბჭოს სამდივნოსათვის წერილობითი მიმართვის საფუძველზე. სამდივნო ვალდებულია, განსახილველი საკითხები, საბჭოს სხდომის გამართვამდე 5 დღით ადრე, ელექტრონულ ფოსტაზე გაუგზავნოს საბჭოს თითოეულ წევრს.
4. საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე, რომლებიც აირჩევიან საბჭოს წევრებიდან ღია კენჭისყრით, საბჭოს პირველივე სხდომაზე, ერთი წლის ვადით.
5. საბჭოს სხდომას იწვევს და ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
6. საბჭო იკრიბება წელიწადში არანაკლებ ოთხჯერ. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა, სამინისტროს, სააგენტოს, საბჭოს თავმჯდომარის ან საბჭოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილების საფუძველზე.
7. საბჭოს გეგმიური სხდომის თარიღი ცხადდება სულ მცირე 2 კვირით ადრე. სხდომის ადგილს, სააგენტოსთან შეთანხმებით, განსაზღვრავს საბჭოს თავმჯდომარე.
8. საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. კენჭისყრა ღიაა.
9. საბჭო 6 თვეში ერთხელ სააგენტოს წარუდგენს საქმიანობის ანგარიშს.
10. საბჭო საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს გამჭვირვალობის, გადაწყვეტილებების, სხდომის ოქმებისა თუ სხვა დოკუმენტაციის საჯაროობის პრინციპით.
11. საბჭოს გადაწყვეტილებას აქვს სააგენტოსადმი რეკომენდაციის ხასიათი.
12. საბჭოს თითოეული წევრი უფლებამოსილია, ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით წარმოადგინოს საკუთარი განსხვავებული პოზიცია, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.
13. საბჭოს წევრს უფლება არ აქვს გაამჟღავნოს საბჭოს საქმიანობის პროცესში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

14. თუ საბჭოს წევრი უარს აცხადებს უფლებამოსილების შესრულებაზე ან/და არასაკმარისი მიზეზით ზედიზედ არ დაესწრება საბჭოს 2 სხდომას, საბჭო უფლებამოსილია, ხმათა უმრავლესობით, წევრის სხვა პირით ჩანაცვლების თაობაზე რეკომენდაციით მიმართოს სააგენტოს ხელმძღვანელს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. ახალი წევრის შერჩევა ხორციელდება ამ დებულებით დადგენილი წესით.

15. თუ საბჭოს დატოვებს 5 ან მეტი წევრი და საბჭოს უფლებამოსილების ამოწურვამდე დარჩენილია 4 თვე ან მეტი, სააგენტო გამოთავისუფლებული პოზიციების შევსების მიზნით აცხადებს კონკურსს ამ დებულებით დადგენილი წესით.

16. საბჭოს წევრის საქმიანობა არ არის ანაზღაურებადი.

მუხლი 6. სამუშაო ჯგუფები

1. საბჭოს სამუშაო ჯგუფები შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა თემაზე საბჭოს საქმიანობის შედეგიანობის მიზნით.

2. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს კოორდინატორი, რომელიც საბჭოს წევრია და პერიოდულად აწვდის საბჭოს ანგარიშს განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

3. სააგენტო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერ დროს მიმართოს სამუშაო ჯგუფებს კონსულტაციისა და მოსაზრებების მისაღებად.

მუხლი 7. საბჭოს სამდივნო

1. საბჭოს ჰყავს სამდივნო, რომელსაც სააგენტოს მოქმედი თანამშრომლებიდან არჩევს სააგენტოს ხელმძღვანელი.

2. სამდივნო უზრუნველყოფს საბჭოს საქმიანობის ტექნიკურ მხარდაჭერას.

3. სამდივნო, საბჭოს წევრების თანხმობითა და დავალებით, უფლებამოსილია საბჭოს მიერ განსახილველ საკითხებზე გააკეთოს ზეპირი ან წერილობითი განცხადება.

4. სამდივნო ამზადებს საბჭოს მიერ განსახილველ დოკუმენტებს და უგზავნის საბჭოს წევრებს. სამდივნო ასევე აწვდის საბჭოს ინფორმაციას სააგენტოს მომდევნო წლის პროგრამების, სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის შესახებ.